ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1953 წ.
№ 6
წელიწადი მესამე.
რედაქციის მისამართი:
133, rue de l'Abbé - Groult. Paris 15. Gabachvili.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამოუკიდებლობა

L'INDÉPENDANCE GÉORGIENNE

ᲝᲠᲒᲐᲜᲝ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ“.

პარიზი. თიბათვე 1953 წ.

ბევრი ფიქრობდა დაზოგნი სწერდნენ, რომ აიზენჰაუერის (: „რკინის მკვნეტელი“) არჩევანი პრეზიდენტად, ძირიანად შეესცვლის და მაელეც, ამერიკის საგარეო პოლიტიკას და სტალინის (: „ფოლადაუერი“) სამფლობელო, არა მარტო დაირღვევა და შემცირდება, არამედ გაქრება კიდეც.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, ასეთი ილუზიებით გატაცება — უფრო გაძლიერდა, რადგან ზერელედ მოაზროვნენი, საშიშროებისა და მშვიდობიანობის ფსიქოზით გამსჭვალულნი, ანგარიშს ვერ უწევენ საბელმწიფოთა და ერთა ურთიერთობის სირთულეს — მეტადრე დღეს, ჩვენს ეპოქაში — და ამით იადვილებენ მსოფლიო საკითხების „გადაჭრას“. ეხლა ხომ ყველა — „პოლიტიკოსია“.

ასეთი ილუზიებით გატაცება, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს უპასუხისმგებლო ემიგრანტისთვის, მაგრამ, ღმერთმა ნუ ქმნას, მიეცნენ მას „რკინის ფარდის“ იქით მოქცეულნი ერები; და არც აქეთ მყოფთ დაადგებოდათ კარგი რამ, ოცნებას აყოლილთ.

ამერიკა, საუბედუროდ, ჯერ მთლად **ერი** არ არის მთელი თავისი ორგანიულობა და მრავალი თვისებით; ის ჯერ **იმპერიაც** არ არის. ამერიკას ჯერ კიდევ 50 - 100 წელიწადი სჭირია, — ძლიერ საბელმწიფოდან, — ერად, ან იმპერიად, ან ორთავედ ერთად გარდაიქცეს.

რუსეთი კი, ჩვენდა და მსოფლიოს საუბედუროდვე, თუმცა ჯერ კიდევ ნახევრად ველური, მაგრამ ერია, და, საბელმწიფოებრივი ფორმით — იმპერიაც; **„იმპერატორიანი“** (დღეს კოლექტიური), მთელი ამ სიტყვის მნიშვნელობით.

ეს ძირითადი განსხვავება ჰქმნის ბევრს უპირატესობას რუსეთისათვის, რასაც ვერ ჰფარავს, შედარებით, ვერც ეკონომიური, ვერც ფინანსიური, ვერც კულტურული დონის უპირატესობანი ამერიკისა; და, მით უფრო, ვერც საშინელი ძალა ატომიური ყუმბარისა.

150 მილიონი ამერიკელის ერთსულოვნად ამოძრავება „სპორტიული ენერგიით“ (რომგორც მათებური ომის წარმოებას ეძახიან ხშირად) ან „დემოკრატიული სულისკვეთებით“, მეტად ძნელი და რთული საქმეა, მაშინ რომდესაც რუსის ხალხი, ბიოლოგიურად ექსპანსიონისტი, სულიერად მონა და მუდამ სხვისი ქონებისა და მიწის მტაცებელი, დღეს ერთი ბატონის ხელშია და ერთი **იდეითაა** შეკრული, რაც სრულიად ეგუება მის ბუნებას და რაც ყველა ეპოქაში შეადგენდა უდიდეს ბამოძრავებელ ძალას ერებისას.

ტერიტორიალურად უშველებელი რუსეთი გაფანტული მოსახლეობით, ათას კილომეტრებით დაშორებული სასიცოცხლო ცენტრებით, პარაზიტულად მსრუტავი იმ სხვა ერების სიმდიდრისა, რომელნიც ჯავშანივით შემოირტყა პერიფერიებზედ, — საუცხოვოდ დაცული სიმაგრეა, ამ თვისებათა გამო.

ამერიკა კი სულ უკულმაა, ამ შემთხვევაში.

მაშ ვისა აქვს „შანსი“ გამარჯვებისა, თუ დანარჩენი ქვეყანა მარტო მაყურებლად დარჩა ამ ორი ნდევის ჭიდილისა? თუ გამოუცდელი ამერიკა ძველი საომარი მეთოდებით შეებრძოლა, — იდეით, მეთოდებით და ფსიქოზითაც განახლებულ რუსეთს?

სწორედ ძველი და **ძველის - ძველი** ქვეყნების უნარიანობა და მოვალეობაა მუდმივად ჩაებას ამ ბნელეთისა და ნათელ მომავლის საშიშ ჯახში, ვისაც არ სურს თავისუფლება და თავის ფულება, „რკინის ფარდის“ უკან მყოფს ყმობაზედ, გადაცვალოს.

მუდამ ჟამს უნდა ეჩიჩინოს ყველამ — რუსეთის სუტკ მხარეებზე და საცა იგი ძლიერია, აქედანვე ლაგამი ამოადებინონ, თორემ გვიანლა იქნება „მასუკან თითზე კბენანი“.

ზემოალნიშნულ დამცველ სიმტკიცეთა გარდა შიგნით, რუსეთის გარე სიმაგრენი „მეხუთე კოლონიებია“ და ყველა დემოკრატიულმა ქვეყანამ, თუ არ შეუძლიან,— დემოკრატიული პრინციპის მიხედვით, — თავისიანების მავნე პროპაგანდის მოსპობა, სასტიკად უნდა მოსპოს ფაქტიური მავნებლობა, საბოტაჟი, მისვლა - მოსვლა, კავშირი და ფულისა, იარაღისა და სხვა დახმარების მიღება უცხო (რუსეთის) საბელმწიფოდან.

მესამე ძალაა — აჯანყების სულის შეტანა აზიისა და აფრიკის ტომებსა და ერებში დასავლეთელების წინააღმდეგ. ამის წინააღმდეგ უნდა ახლილად იყოს გამოცხადებული და მუდმივი პროპაგანდის საზით წარმოებული ბრძოლა, რუსეთისაგან დაპყრობილ ერთა სრული განთავისუფლებისათვის.

და, რაც უმთავრესია, მოსალოდნელ ომში, არა ძველი და დღეს ნამეტნავად მავნე და საშიში მეთოდების ხმარება, ე. ი. სანაპიროებიდან შეტევა (რისაც საშინელ მაგალითს წარმოადგენს კორეა), არამედ გადატანა ბრძოლისა რუსეთის შუა გულში, მის სასიცოცხლო ცენტრებსა და ძარღვებზედ. ამისათვის ჰაეროპლანი და ატომური ყუმბარა, — ზედ გამოჭრილი იარაღია.

მაგრამ ყველაზედ საშიში მსოფლიოსათვის და ბედნიერება რუსეთისათვის ის იქნებოდა, თუ აიზენჰაუერი, — როგორც ყველა ლენერალი, რომელიც ენდობა მარტოოდენ იარაღს (გინდა ის ატომიური ყუმბარა იყოს) — აჰყვა რუსეთის პროვოკაციას და ჩინეთთან ომში ჩაება — ღმერთმა გვაშოროს! ეს იქნება სრული კატასტროფა. „მეორეულ მოსავლის“ ნიშანი, სტალინ - ანტიქრისტეს „სულის მოფენა“ ქვეყნიერებაზედ.

ჭკვათამყოფელ პოლიტიკოსების, მხედრების, მეცნიერთა, პრესის თუ მოქალაქეთა — ვალდებულობაა, ახალგაზრდა ამერიკის ლენერალიტეტს ყოველგვარი საშუალებით ეს საშიშროება დაანახვოს და აგვაცდინოს.

სტალინის მემკვიდრეობა

მსოფლიო ბოლშევიზმის შემქმნელი და სულის ჩამდგმელი, სტალინი, განშორდა ამა ქვეყნიერ ცხოვრებას. მისი სიკვდილი საიდუმლოებითაა მოცული. ამბობენ, რომ წითელ ფარაონებს წესად აქვთ მიღებული, ცხოვრებაში ყოველის შემძლეთ, სიკვდილის წინაშე დასტოვონ ყოველგვარი თაოსნობა და თავის მენკვიდრეებს მიანდონ მათი საიქიოს გასტუმრება. მართალია, სტალინმა ყოველგვარი ზომა მიიღო თავის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის. მას კიდევ დიდი ამოცანები ჰქონდა აღსასრულებელი. ბოლშევიზმი მსოფლიოს მხოლოდ ერთს მესამედზედ იყო გაბატონებული, და ორი მესამედი ჯერ კიდევ უპატრონო და მოუვლელი ჩრჩებოდა.

თუ ეს სტალინის სიკვდილის ამბავი დიდხანს დარჩება საიდუმლოებით მოცული, სამაგალითოდ ნათელზედ ნათელია, რომ „ხალხთა მამამ“ იმ ზომად დიდი მემკვიდრეობა დაუტოვა თავის ერთგულ და არა ერთგულ შვილებს, რომ მას ვერც ვინმე გაზომავს და ვერც ვინმე დასთვლის. ეგვიპტეს ფარაონების და დიდ სულთანთა დიმპერატორების დანატოვარი მოსაგონარიც არ არის ამ წითელი დიქტატორის მემკვიდრეობასთან.

სტალინის დიდი ნაჭირნახულევის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს, რასაკვირველია, ბოლშევიკური იმპერია. ეს მთელი მსოფლიოს ერთი მეექვსედი ყოველივე მისი ქონებითა და აგრეთვე მოსახლეობით. ორასი მილიონი ადამიანით. ბოლშევიზმის დამყარებამდე მთელი ეს სივრცე ეკუთვნოდა კერძო პიროვნებებს სრულს საკუთრებად, ხოლო მეტად უთანასწორად. საკმარისლიანობისა და თანასწორობის დამყარების მიზნით სტალინმა ყველას ჩაბარა ეს მათი ქონება, ვისაც რა მოეპოვებოდა, და ის საყოველთაო, მთელი ხალხის სიმდიდრედ გამოაცხადა. მაგრამ ამ აუარაკელ ქონებას და ორას მილიონ ადამიანს სტალინი უპატრონოდ ხომ ვერ დასტოვებდა და ის თავის ჩეკისტებს ჩააბარა. ბოლშევიკურ ალმშენებლობის პროცესში სტალინმა ისე შეამტკიცა და შეადუღა ეს მატერიული ქონება და ცოცხალი ადამიანები, რომ ის ერთი უზარმაზარ მანქანად გადააქცია, ბოლშევიკურ მანქანად მონათლა, ხოლო ცოცხალ ადამიანებს ჯერ „საბჭოთა ადამიანის“ სახელი დაუმკვიდრა და შემდეგ მათ გიგანტური ბოლშევიკური მანქანის ხრახნილების მალალი წოდება მიანიჭა. სტალინმა ამაყად ამცნო მთელს მსოფლიოს, რომ ნან ამ ხალხებს სოციალისტური სამოთხე დაუმკვიდრა, სადაც ეს ხრახნილები დიდის ენტუზიაზმითა და სიხარულით აწარმოებენ სოციალისტურ ალმშენებლობას და მომავლისათვის კომუნისტურ ბედნიერებას იმზადებენ. ამ ბოლშევიკურ მანქანის გარეშე სტალინმა კიდევ შემოიფარგლა აზიისა და ევროპის ქვეყნების ექვსასი მილიონი მოსახლეობა. ამ ხალხებსაც სწვრთნიდა ის ბოლშევიკურად, რათა ისინიც ამ ბოლშევიკურ მანქანაში მოექცია. დანარჩენს მსოფლიოში მას, რასაკვირველია, გაცილებით მეტი ჰქონდა გასაკეთებელი; იქ ჯერ კიდევ კაპიტალისტები და დემოკრატია თარეშობდნენ. მართალია, ბოლშევიზმმა ამ ქვეყნებშიც მოიკიდა ფეხი და ზოგან ისე მაგრადაც, რომ სტალინის კომინფორმი ხან აქეთ შეატრიალებდა, ხან იქით ამ ქვეყნების მცხოვრებთ და თვითონ მათ მეთაურებსაც. ხოლო ეს ქვეყნები ჯერ კიდევ არ იყვნენ საკმარისად მომზადებული დემოკრატიის დასამხობად და მის ნანგრევებზედ ბოლშევიზმის დასამკვიდრებლად. ამ ზომად დიდი ამოცანები ჰქონდა კიდევ გასასაღებელი ბოლშევიზმის შემქნელსა და სულის ჩამდგმელს და, გასაგებია, რომ ის ასე ცდილობდა თავის სიცოცხლის გახანგრძლივებას მსოფლიო ბოლშევიზმის საბედნიეროდ. ხოლო განგების თუ მისი მენკვიდრეების გადაწყვეტილებით ის ჩამოსცილდა ამ დიდს საქმეს და თავის მასწავლებელის ვვერდით განისვენა.

სტალინი შენქნელი იყო მსოფლიო ბოლშევიზის და მისი სული და გული. ბოლშევიკური ღმერთი მოკვდა ვით უბრალო მომაკვდავი. გასაგებია, რომ ასეთი მოვლენა გაანახევრებს ბოლშევიკურ ძალების დინამიზმსა და სულიერ სინტეზეს. ამით უთუოდ დასრულდა ბოლშევიზმის აღმასვლა და მისი დაქვეითება და დაკნინება დაიწყო. მოვალია ეს ნიშნები ბოლშევიკურ რუსეთში და მის სატელიტებში. ხოლო ის განახევრებულიც დიდს ძალას წარმოადგენს. კიდევ შესძლებს შესვენებას, ამ დიდი მარცხის შონელებას და კვლავ გამაგრებას, უკეთუ დანარჩენი მსოფლიო გულზე ხელს დაიკრეფს და აქა იქ კიდევაც დაეხმარება, რომგორც იქცეოდა მუდამ ბოლშევიზმის გაჩენის დღიდან. ხოლო ეს უკვე შეუძლებელია. დემოკრატიულ მსოფლიოს თვალები აეხილა. მან დაინახა, რომ მისი სიმბეცითა და დაუდევრობით ეს ბოლშევიზმი გადაიქცა მსოფლიო საშიშროებად, და ის ქვეყნის პირიდან ალგვით ემუქრება ხალხთა ეკონომიურ, პოლიტიკურ და მორალურ ცხოვრებას, თანამედროვე ცივილიზაციის ყოველივე წესსა და რიგს.

მსოფლიო დემოკრატია აქტიურ თავდაცვის გზას დაადგა. ეს ფსიხოლოგიური ომი, წარსულში რევოლიუციონურ და საომოქალაქო ბრძოლად წოდებული, თანმრავალნაირი ცდა, რომ მშვიდობიანი გზით აიცდინონ თავიდან ეს კარის მომდგარი საშიშროება. ხოლო თუ ეს არ ალმოჩნდა საკმარისი — მილიტარული ბრძოლა, საშინელი ატომიური ომი! მსოფლიო დემოკრატიის მეთაურებს უთუოდ ასე აქვთ წარმოდგენილი ბოლშევიკურ იმპერიასთან საბოლოო ანგარიშის გასწორების გზები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კაცობრიობას ასცდება ეს ახალი მსოფლიო ომის საშიშროება. ამის იმედს ყველაზედ მეტად იძლევა ის რღვევა, რომელიც უკვე დაიწყო ბოლშევიკურ სამყაროში და რომლის უკანასკნელი და ფრიად მნიშვნელოვანი გამოძახილი აღმოსავლეთ გერმანიაში შეიჭრა. ბოლშევიკურ მანქანაში მომწყვდეული მრავალ მილიონი ცოცხალი ხრახნილი, შეინძრა, შეიძრა და თუ ეს გაგრძელდა და გაიზარდა, ბოლშევიზმის ბუმბერაზი მანქანა დაიმსხვრევა და მტვრად იქცევა.

ალ. ასათიანი,

ბ ე რ მ უ დ ი

I

დღემდე წითელი რუსეთი ყოველგვარ ხერხსა და ძალ-ღონეს ხმარობდა, უთანხმოება ჩამოეგდო მოკავშირეთა შორის. ეხლა დიდ იმედებს ამყარებენ „ბერმუდი“-ს კონფერენციაზე, სადაც ისინი შეუცდებიან ერთის მხრით მოკავშირენი გათიშონ და მეორეს მხრით მაქსიმალური დათმობებზედ წაიყვანონ. მათ ამის საკმაო გაგნოცდილება მიიღეს თეერანან-იალტა-პოტსდამის კონფერენციებზედ. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამას ვერ მიაღწევენ და წარსულ კონფერენციათა ბუმბერაზ შეცდომებს და მის მიერ გამოწვეულ მძიმე შედეგებს, რომელიც დღეს კაკაცობრიობას ალრჩობს, დასავლეთი მაქსიმალურად გამოიყენებს „ბერმუდი“-ში.

საიდან გამოდის ბერმუდის კონფერენციის იდეა? სამშაბათის 9 ივნისს ლონდონში დასრულდა „კომენდანტალტის“ მინისტრთა თათბირი, სადაც მიღებულ იქმნა დადგენილება—საბჭოთა რუსეთისადმი ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე — მოწვეულ იქმნას „ოთხთა“ კონფერენცია. ჯერ კიდევ აქამდე ჩერჩილის მიერ თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვამ არა მარტო ბრიტანეთისა და საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს აღუძრა დიდი იმედი — იალტის მსგავსი — ოთხი დიდი შეფის შეთანხმებისა საზავო კონფერენციაზედ, არამედ მან სხვა ერთა შორისაც დადებითი და უარყოფითი გამოძახილიც ჰპოვა. ამ მოძმდარ ფაქტის წინაშე — უარყოფით ფსიხოლოგიურ „შოკის“ თავიდან ასაცილებლად — არ შეიძლებოდა, ამერიკის პოლიტიკის მესვეურთ ქედი არ მოეხარათ. გარდა ამისა, როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, აიზენჰაუერი, მიუხედავად სურვილისა უარს ვერ იტყოდა ასეთ კონფერენციაზედ, რადგან მას მავნებლად სთვლის ევროპის სოლიდარობისათვის და იმავე დროს მწუხარებით აღნიშნავენ, რომ „საზავო“ პროპაგანდ[illegible] რომელსაც „კომუნისტები ეწევიან, მიზანს აღწევს. იგვლისი, რომელიც ეკონომიურ დამოუკიდებლობისათვის თავგადადებული იბრძვის, კონფერენციის შემდეგ, რუსეთთან კომერციულ პერსპექტივებზედ დიდ იმედს ამყარებს.

დასავლეთის სახელმწიფოთა მეთაურთ არ შეუძლიათ საზოგადოებას უთხრან, თუ რა კონცესიას აძლევენ ან სთხოვენ საბჭოთა რუსეთს ამ მოლაპარაკებაში. კიდევ მეტი, მათ ჯერაც არ გამოუქვეყნებიათ ატლანტიკის კოალიციის საერთო პოლიტიკური ობიექტი. ამერიკის საზოგადოებრივ აზრის ზოგიერთი მეთაურნი „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ლოზუნგით გამოსახავენ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მიზანს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. 1945 წლამდე რუსეთში „კომუნიზმი“ არსებობდა, მაგრამ მისთვის ომი არავის გამოუცხადებია. კომუნისტურ იუგოსლავიას მატერიალური და ფიზიკური დახმარება აქვს მიცემული და აღთქმული. მაშასადამე „ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ“ რეალობას არ შეეფერება. ცხადია, აქ ადგილი აქვს რუსულ იმპერიალიზმთან ბრძოლას.

რას ელიან ბერმუდის კონფერენციიდან? კორეა და ინდოჩინეთი? დღეს იქ ომია (არმისტისი ზავს არ ნიშნავს) და რა თქმა უნდა ძლიერ სასურველია ეს ომი შეწყდეს, მაგრამ მარტო ეს ხომ არაფერის დამაკმაყოფილებელია. ბერმუდში ისმება დიდი ერის საკითხი: გერმანია. ცნობილია გერმანიის საკითხში რუსეთის გარკვეული პოზიცია აქვს აღებული. თუ რუსეთის თვალსაზრისმა გაიმარჯვა — გერმანეთის ორივე ნაწილის გაერთიანება და მისი სრული ევაკუაცია რუსეთ - ალიების ჯარებისაგან. — მან შეიძლება არა მარტო გერმანია ჩაიგდოს კომუნისტურ საფრთხეში და განმეორდეს იგივე ამბავი რაც პრაგაში, არამედ ის საფრთხეში აგდებს მთელ კაცობრიობას. თუ ბატონი ჩერჩილი იზიარებს რუსულ პოზიციას; მისი შედეგი „გერმანულ - რუსული“ ლოკარნო იქნება. აქ ისმება საზღვრის საკითხი — ერთად ოქერი, რომელსაც რუსები ლებულობენ, ოდერ - ნეისის ხაზია. ამ საზღვრის აღიარება რუსეთის სასარგებლოდ, ნიშნავს აღმოსავლეთ ევროპის რუსულ ზოოლოგიურ ბაღში მომწყვდევას.

დაუშვათ რომ შეთანხმება მოხდა გერმანიის საკითხში, დაუშვათ რომ რუსები დასთანხმდენ ხელი აიღონ კორეაზედ, ინდოჩინეთში ზავი ჩამოაგდონ... ავსტრიაზედ შეთანხმება მოხდეს... უარი სთქვან ოსმალეთისათვის წაყენებულ მოთხოვნილებებზედ... მერე... განა ეს შეასუსტებს რუსულ იმპერიალიზმის საშიშროებას? თუ ასე ადოლად გადარჩა, განა ეს რუსეთის გამარჯვება არ იქნება? განა ეს არ გამოიწვევს სტალინის სიკვდილის შემდეგ შეერყეულ რეჟიმის განმტკიცებას და სულ მოთქმული ახალი ძალით და ენერგიით არ შეუდგება მეზობელთა „მშვიდობიანს“ დაპყრობას ოქროსა და „მეხუთე კოლონების“ დახმარებით? განა ჩინეთის გაკვეთილი დასავიწყებელია? განა ნეარუ, რომელმაც დიდი ხანი არაა თავი დაიხსნა ტყვეობიდან, ამ საშინელებას ვერ უნდა ხედავდეს? დაუშვათ გაუგონარი ამბავი, რომ ასეთი შეთანხმება მოხდა; რას ეუბნებიან რუსეთის მიერ დაპყრობილ და მის ტირანულ რეჟიმით განაწამებ ქვეყნებს: ბალტიელებს, კავკასიას, პოლონეთს, უკრაინას, თურქესტანს და სხვათ? ეს ხომ დადასტურება იქნება ამ ერთა მონობის, რომელიც გზას უხსნის აღვირ ახსნილ რუსულ ზოოლოგიურ ნაციონალიზმს და უსირცხვილო გენოციდს?

გერმანიის — ამ დიდი ერის—ბერმუდის კონფერენციის მთავარ საკითხად დასმა აღმოსავლეთ ევროპის საკითხის გარეშე—საკითხის ყირამალა დაყენებაა. გერმანიის, ამ დიდი ერის დამორჩილება არავის შეუძლია. ის თავის ეროვნულ მთლიანობას მიაღწევს და ძლიერ სახელმწიფოთა ოჯახში მოექცევა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბერმუდის კონფერენციაზედ მისი საკითხი არ დაისვას. განა უფრო ლოგიკური და ბუნებრივი არ იქნებოდა ოთხთა კონფერენციის მთავარ საგნად აღმოსავლეთ ევროპის საკითხი დასმულიყო, რომელიც რუსეთსა და გერმანიას ჰყოფს? განა ჩეხო - სლოვაკია და პოლონეთი, რომელმაც ბ-ნ ჩერჩილისაგან 1939 წლის 31 მარტს გარანტია მიიღო მათი მოკავშირე არ იყო? ნუ თუ ეს ვალი გადაუხდელი უნდა დარჩეს? ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, საკითხისადმი პრაქტიკული მიდგომა და საერთო რეალური ინტერესები და მდგომარეობა მოითხოვს—ყოველგვარ დიპლომატიის გარეშე—ჯერ აღმოსავლეთ ევროპის საკითხი გადაწყდეს, რომლის შემდეგ უკვე თავის - თავად — ავტომატურად — გერმანიის საკითხი ისმება და მისი გადაჭრა პირველის შემდეგ, გაცილებით გაადვილებული იქნება უფრო სასურველ პირობებში. სხვანაირად ჯერ გერმანიის საკითხის გადაჭრა ანუ საბჭოთა რუსეთის თეზის მიღება არა მარტო საზარალო და საზიანოა — პოლიტიკურ - ტერიტორიალურ და ეკონომიურ თვალსაზრისითაც, არამედ ის კაცობრიობას კიდევ ახალ არეულ - დარეულობა და გაურკვევლობათა წინ აყენებს. ის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელ დასავლეთ ევროპისათვისაც, რომელიც დაასუსტებს მის თავდაცვის უნარიანობასა და რუსულ იმპერიალიზმის მუჭარის ქვეშ დააყენებს იმ ერებს, რომელთაც ექსპანსიით ემუქრება.

თანამედროვე საერთაშორისო კრიზისი და ტრაგედია — იმპერიალისტური რუსეთის გაძლიერება, თეერან - იალტა - პოტსდამის კონფერენციებიდან მომდინარეობს, რომელთაც რუსულ იმპერიალიზმს ფრთები შეასხეს და თავის მბრძოლი სიმძიმით დღეს კაცობრიობას მძიმე ჩაეჭიდა თავში სცემს და მოხერხებულ მომენტში მზითაა საბედისწერო ნამგალით თავი მოჰკვეთოს. ვიმედოვნოთ, რომ — ბერმუდის წინა კონფერენციების შეცდომათა გაგრძელება და დამატება არ იქნება.

II

უკანასკნელ ომის პირველ ხანებში საბჭოთა რუსეთი საგანგებო ფრონტზედ დამარცხებას დამარცხებაზედ განიცდიდა, დიპლომატიურ და პოლიტიკურ ასპარეზზედ კი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდიოდა. მაგრამ საბჭოთა დიპლომატიას სრულიად მხედველობიდან გამორჩა ის, რაზედაც ძველი და ახალი რუსეთი მუდამ ოცნებობდა — დარდანელი და ოსმალეთისადმი დანარჩენი პრეტენზიები. ამ ლაფსუსს რუსები გვიან მიხვდნენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად 45 წლის ივნისის რიცხვებში მოულოდნელად მოლოტოვმა ოსმალეთს მოთხოვნილებები წაუყენა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებში ბაზები დაეთმო, ყარსისა, არტაანისა და ართვინის ვილაიეტები გადაეცა. 1946 წელში ამ მოთხოვნილებათ დაუმატეს — მონტროი-ში 1936 წლის კონფერენციის რევიზია და ახალი კონვენციის დადება მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებთან. ამ უკანასკნელ მოთხოვნილებას არ შეეძლება უკმაყოფილება არ გამოეწვია არა მარტო ოსმალეთში, არამედ უცხოს სახელმწიფოთა შორისაც, რადგან ისინი, — გარდა ყარს, არტაან და ართვინისა,— საერთაშორისო ხასიათის მატარებელნი არიან. დარდანელსა და ბოსფორში რუსეთის სამხედრო ბაზების გაჩენა, მათ საბჭოთა დომინაციის ქვეშ აქცევდა და მოსკოვი თავის სიმძიმის ცენტრს ბოსფორის სტრატეგიულ პოზიციებზედ გადატანას აპირებდა. აგრეთვე შეუძლებელი იყო მოსკოვის პირობებზედ მონტროის კონვენციის რევიზია, რადგან ბულგარეთი და რუმინია, როგორც რუსეთის სატელიტები, ოსმალეთს უმცირესობაში სტოვებდა და შავ ზღვას „რუსეთის ტბად“ გადაქცევას უპირებდა. ამიტომ იყო, რომ მთელი წლის განმავლობაში ამ სრუტეების მესაზღვე სწორმოებდა ნოტების გაცვლა - გამოცვლა რუსეთისა, დიდ ბრიტანეთისა, ამერიკასა და ოსმალეთს შორის, რაც ოსმალეთის თეზის გამარჯვებით დასრულდა. უფრო ადგილობრივ ხასიათის იყო ყარს - არტაან-ართვინის საკითხები და ის, იმ პირობებში შეიძლებოდა სასურველად დაგვირგვინებულიყო ორივე მხარისათვის — რომ გაუმაძღარ რუსეთს — საერთაშორისო ხასიათის მეტად დატვირთული მოთხოვნილება არ წაეყენებინა. ყარსს, რომელიც საბჭოებმა ქემალს დაუთმეს, ის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ პირდაპირ ემუქრებოდა აზროუმის გზებს, რაც მეფის ჯარების მთავარი საოპერაციო ბაზა იყო პირველი ომის დროს. აგრეთვე არტაან და ართვინსაც ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ისინი იცავდნენ საქართველოში მიმავალ მთავარ გზებს და მფარველობდნენ თფილისისაკენ მიმართულ საკომუნიკაციო პუნქტებს. დღეს საბჭოები ამ თავდაცვის მნიშვნელოვან ადგილებს მოკლებულნი არიან. სწორედ ამით აიხსნება, რომ ასე დაჟინებით მოითხოვდნენ მათს გადაცემას.

დაწყებული ამ დროიდან, ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა მთლიანად რუსეთის მეჯარაზედ აეგო, რასაც შედეგად მოჰყვა ოსმალეთის აღმოსავლეთის ბლოკში შესვლა და შეერთებულ შტატების ულტიმატუმი, რამაც ოსმალეთი გაამაგრა და გაამტკიცა.

საერთო აზრია, რომ დღევანდელი საბჭოთა მანიოვრი გაამოწვეულია სურვილით, ოსმალეთი დაამშიროს მეზობელ ერებს და იმავე დროს განხეთქილება შეიტანონ ბალკანეთის „ანტანტა“-ში, რომელიც ეხლა სდგება და თანდათან მილიტარული ხასიათის ღებულობს. მიმართულს მოსკოვის წინააღმდეგ. ამ რიგად, საბჭოებს ორივე თანდათან რკალი ერტყმევა. სწორედ ამ რკალის გასარღვევადაა გაგზავნილი მისი დღევანდელი მანიოვრი, — დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენა იუგოსლავიასთან, ხელის გაწვდენა ანკარისაკენ და განსაკუთრებით, მისი „სამშვიდობო“ პოლიტიკის დასაგვირგვინებლად ალმოსავლეთ გერმანიაში „კონტრ - რევოლიუციონური“ პოლიტიკა და გერმანიის გაერთიანების „კარტაზედ“ თამაში. მიუხედავად ამისა, ჯერ - ჯერობით, დასავლეთი და ალმოსავლეთი დიდი სიფრთხილითა და უნდობლობის თვალით უყურებენ რუსეთის ასეთ უჩვეულო - მეზობლურს. უბრალოდ ის ფაქტი, რომ გენერალ ალიჯვეი და ამირბარ კარნეის სტუმრობა ანკარაში ივნისის ათში, იმის მაჩვენებელია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თურქულ ფაქტორს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც ამერიკელებიდან, გარდა ყოველგვარ დახმარებისა, დაპირებული აქვთ საშინელი სასიკვდილო იარაღი — ატომიური ქვემეხი.

სამხედრო ექსპერტების ცნობით, ოსმალეთში რომ იგივე სურათი არ განმეორდეს, რაც კორეაში, — არაა საკმარისი მარტო მისი ჩრდილოეთის საზღვრები იქმნას დაცული, არამედ ფრონტი გადატანილ უნდა იქმნას აგრეთვე ამ საზღვარს იქით. ასეთი მიზანს უპასუხებს საბერძნეთის სამხედრო შტაბის გეგმა: ომის პირველ დღეებში გაატფთრებული იერიში მიიტანონ ბულგარეთზედ, რომელიც ბალკანეთში წითელ არმიის მოწინავე პოზიციას შეადგენს. სწორედ ამ აზრით იყო, რომ დასავლეთმა და განსაკუთრებით კი ამერიკამ ხელი შეუწყო სამთა—ოსმალეთის, საბერძნეთის და იუგოსლავიის — შეთანხმებას.

საბჭოთა რუსეთის მოთხოვნილებებმა ოსმალეთს დასავლეთის ბანაკში ამოაყოფინა თავი, რომელთანაც ის დღეს სხვა და სხვა შეთანხმებებით მტკიცედაა დაკავშირებული. დღეს მოსკოვს მის მოთხოვნილებებზედ ხელის აღებით სურს ოსმალეთი ამ ბანაკიდან ამოაგდოს, რაც დღეს შეუძლებელია. ის ამერიკის დახმარებაზედ უარს არ იტყვის და არც ჰაეროდრომების გაშენებაზედ და თავის სამხედრო პოტენციალს არ შეასუსტებს, რასაც ამ ხუთი წლის განმავლობაში ეწევა.

მოსკოვმა გვიან შეიგნო თავის შემცდარი პოლიტიკა, რომელმაც ოსმალეთი ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. აგრეთვე ნაგვიანევია მათი დღევანდელი ეკან დახევა. შეიძლება მათ შორის დიდი დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ, მეგობრული პაქტი განახლდეს, მაგრამ ის თავის ღირებულებას მოკლებული იქნება, რადგან ოსმალეთი ატლანტიკის პაქტში უკვე მოექცა, რომელზედაც მას მთელი ორი წლის განმავლობაში ეარს ეუბნებოდნენ. აი ამ მომენტის გამოყენებაც მოსკოვმა ვერ შეძლო ისე, როგორც 1944 წელში შექმნილი მდგომარეობა ვერ გამოიყენა. ამრიგად დღეს, როგორც ზემოდა ვსთქვით, რუსეთის მიერ 45 - 6 წლებში წაყენებულ მოთხოვნილებათა უარყოფა, ჰქმნის სრულიად ახალ მდგომარეობას, რომელიც პრობლემათა მთელ რიგს აყენებს არა მარტო თვითონ ოსმალეთის წინაშე, არამედ მის მეზობლებსა, დასავლეთის მოკავშირეთა და ბალკანეთის წინაშე.

მაგრამ ყველაზედ უდიდესი და ყველაზედ თავსამტვრევი პრობლემა ჩვენ — ქართველების წინაშე სდგას: რას გვიქადის ხვალინდელი დღე? რას ფიქრობენ ოსმალეთის პოლიტიკის მესვეურნი და მისი სამხედრო შტაბი, ტყვეობაში მომწყვდეულ მეგობარ ერის — საქართველოს ბედზედ? რას ფიქრობს დასავლეთი ევროპა და ამერიკა კავკასიის ერთა ბედზედ, რომელთა იმედი და თვალები მათკენაა მიპყრობილი და შველას ელიან? საინტერესოა მიმართულია საბედისწერო მომენტში მოდეერნულ ომის — ადამიანთა გაჟმწყვეტი და დამანგრეველი მძიმე მექანიზმი? მოუტანს თუ არა საბედისწეროდ დანთებული ცეცხლი მუხანათურად დაპყრობილ კავკასიის ერებს, თავისუფლებას, თუ ის ამ თავისუფლებას მიანიჭებს უდაბნოდ ქცეულ მთა და ველებს? აი პრობლემა, რომელსაც სვამს ჩვენს წინაშე რუსულ - თურქული დამოკიდებულება. არა, საქართველოს კორეას ბედი არ უნდა ეწვიოს! აი საკითხი, რომელიც ყოველ ქართველს გულს უწუხებს და პასუხი არსაიდანა სჩანს.

ვ. შუბლაძე.

პოლიტიკური სენსაციები

საბჭოთა რუსეთის მესვეურთა პოლიტიკა საგრძნობლად ქანაობს. დღემდის ეს ეჭვნეოდა საგარეო საკითხებს, ამ ბოლო დროის შინაგან საქმეებშიც დაეტყო საგრძნობი ამოძრავება.

კორეაში ზავის საკითხი დიდ-ხანს ერთ წერტილზედ იყო გაყინული. საბჭოები მუდამ სცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ არაფერ შუაში არ არიან ზავის საქმის მოურიგებლობაში. სტალინის სიკვდილის შემდეგ, მოლოტოვის ამ საკითხში ჩარევამ აშკარად დაამტკიცა, რომ საბჭოთა რუსეთი ყოფილა ის საჭე, რომელიც ხელს უშლიდა ზავის მოგვარებას. დღეს კორეაში ზავის საქმე მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მას ახალი, მოულოდნელი რამე არ გადაეღობა.

ავსტრიაში საბჭოებმა კონტროლი მოხსნეს სადემარკაციო ხაზზედ, რომელიც სულს უხუთავდა მცხოვრებლებს თავის ქვეყანაში თავისუფლად ემოძრავნათ.

ასევე მოხდა გერმანიაში აღმოსავლეთ-დასავლეთის შუა ხაზზედ.

ნაძალადევი „სოციალიზაცია“ და „კოლექტივიზაცია“ გერმანიაში მეჩერდა. ჩეხოსლოვაკიაში საგრძნობი გამოსვლები მოხდა კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ. ბერლინში აჯანყებაც, სისხლით ჩაქრობილი იქნა რუსების მიერ.

უკრაინაში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში დაიწყო შეცვლა-გადაყენება თანამდებობის პირთა.

ხაზ-გასასმელია ის ფაქტი, რომ ცნობილი კომუნისტი მელნიკოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, გადაიყენეთ თანამდებობიდგან. — მელნიკოვი სტალინის დროს, როდესაც, ცენტრალური კომიტეტი პარტიისა სრულიად საბჭოთა კავშირის მ. შ. ტაბში, შესდგებოდა 25 წევრისაგან, ითვლებოდა წევრად ამ კომიტეტისა.

მელნიკოვის გადაყენებას უკავშირებენ მის მიერ და მისი დასტურით წარმოებულ გარუსების პოლიტიკას უკრაინაში. როგორც სჩანს, უკრაინის ხალხის დიდი ნაწილს დიდი იერიში მიუტანია რუსიფიკატორების წინააღმდეგ.

აქ ჩვენ ჩამოვთვალეთ ზოგი ერთი მომხდარი მოვლენა მოსკოვის კრემლის ბრძანებლობის ქვეშ მყოფ ერებში.

ძალაუნებურად უნდა დაისვას საკითხი, რაშია საქმე?

რას ფიქრობენ კომუნისტები, საით მიდიან, არის მოსალოდნელი რაიმე საძირკვლიანი ცვლილებანი შინაგან თუ გარეშე პოლიტიკაში?

შეუძლიანთ იქონიონ იმედი, ფარდის იქით მომწყვდეულმა ერებმა, რომ ბოლოს — ბოლოს მათ მიეცემათ საშუალება იცხოვრონ თავისუფლად თავის საკუთარ მიწა-წყალზედ? მოეღება ბოლო მკაცრ ტერორს, გადასახლებას შორეულ ქვეყნებში, იძულებით შრომას განსაკუთრებულ ბანაკებში?

კომუნისტურმა მოძრაობამ, რომელიც მესამედი საუკუნესი გრძელდება, ისეთ ჩიხში შეიყვანა საბჭოთა ქვეყნების ცხოვრება, რომ პალიატიური ზომებით, თუნდაც რომ ეს ზომები განზრახული იყოს კეთილი მიზნებით, საქმეს ვერ უშველის.

საჭირო არის რადიკალური ზომები. აუცილებელია თვით ერებს დაუბრუნდეს თავისი ბუნებრივი უფლებები, მიეცეთ საშუალება თვითონ აღადგინონ თვისი ოჯახი, განაწესონ თავის ფარგლებში თვის ცხოვრება, როგორც მათ სურთ, როგორც მათ ესმით და როგორც მათ მოსწონთ.

წავლენ ამ გზით კომუნისტები?

კომუნისტებს ერთი ხელის ხელ საგოგმანებელი გამოთქმა აქვთ თავის ბრძოლის ტაკტიკის დასასურათებელად: „თვით ეშმაკსაც კი დაუმეგობრდები იმ დროამდე, ვიდრე ეს საჭირო იქნება“-ო.

მაშასადამე, მოსძებნიან ეშმაკს, დაიხმარონ და არა გზით არ დასთმონ.

ამ ჟამად კომუნისტები გაჭირვებას განიცდიან შინ და გარეთ, რომ გაიადვილონ ამ გაჭირვებიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ, რამოდენიმე დათმობაზედ წავლენ თვალის მოსაჩვენებლად.

ხოლო როდესაც დარი მათთვის გამოიდარებს, ძველ გზებს მონახავენ — შეიძლება ახალი ფორმებით, მაგრამ ძველი შინაარსით გასანადგურებლად.

ერთი რამ უშლის მათ ხელს და აკლიათ მათს დიდ გასაჭირში:

მათ დაკარგეს დიდი ავტორიტეტი სტალინის სახით და იმის მოადგილის ძებნაში არიან. იპოვნიან?

მუმლისპირელი.

გაზეთებიდან

გერმანულ გაზეთ „Der Fortschritt“-ში,—კვირეულია, რომელიც გამოდის დუსელდორფში, აგერ მეხუთე წელიწადია, 24 აპრილის 1953 წ. № 17-ში სწერია: სათაურით:

„თავისუფალ-მგზავნის კულისების მჭრელობა და ღრმა მნიშვნელობა“:

„რადიო „ოსვობოჟდენიე“, რომელზედაც დაიხარჯა 70.000.000 დოლარი — მთლად **რუსების** ხელშია...

„ჰიტლერს რომ ომის პირველი თვეების პროპაგანდა გაეგრძელებინა, ე. ი. „განთავისუფლების“ დაპირება ველიკორუსებისაგან, რუსეთის **ერებისა**... იქნებ ომი სხვანაირად გათავდებოდა“-ო.

„საზოგადოდ ივიწყებენ: რუსეთი, არის — სახელმწიფოთა კავშირი და არა ერთიანი სახელმწიფო. მართალია, ქალალდზედ მხოლოდ, მაგრამ მაინც „16 რესპუბლიკა“ და მრავალი ავტონომიური მხარე, რომელთაც **გამოსვლა** შეუძლიანთ „ს. ს. ს. რ“-იდან და მოსკოვის ცენტრს სიყვარულით კი არა, **ძალით** უჭირავს ეს ერები. ამაშია რუსეთის კოლოსის სისუსტე და „ოსვობოჟდენიე“-კი მხოლოდ რუსეთზედ ლაპარაკობს.

მთელი ხელმძღვანელობა „ოსვობოჟდენიე“-სი არის **კერძო**: კვრძო „ამერიკ. კომიტეტი“ ნიუიორკში, რომლის უკან სდგას — „ვარბურგ, ლიობ და კომპ“-ის ბანკირ შრედერ, მორგან დასხ. ბოთ წარმომადგენელმა—დონ-ლეონინმ შეჰქმნა რადიოს „სადგური“; საცა უკრაინელები, 35% **არა**-რუსების — არ შეიდნენ...

როცა კერკი წავიდა, სტიფენსმა დაკარგა 45% რუსისათვის დაექვემდებარებინა დანარჩენი (55% რ. გ.) **არა**-რუსები... 1952-ის ოქტომბერში.

უკრაინელები, ბელორუსები არც ეხლა შეიდნენ, მარტო ერთი **ქართველი**, ერთი ადერბეიჯანელი, თურქმენი და ჩრდილოკავკასიელი და არც ერთი **ნამდვილი** წარმომადგენელი არა-რუს ერებისა.

„1953 წ. დასაწყისში 12 დღე კამათობდნენ რუსები და არა რუსები და ვერაფერს მიაღწიეს... საჭიროა რეორგანიზაცია „ამერ. კომიტეტისა“....

ერთ-ერთი **gaistigen**, სულიერი ხელმძღვანელი არის ვინმე ბორის შუბ, ცნობილი რუსის იმპერიალისტი, ჟურნალისტი, რომელიც ამერიკულ გაზ. „**Der Monat**“-ში, მუდამ იცავდა რუსეთის მთლიანობას.

„ძალიან **ტაქტით** იქცეოდა ვილიამსი, მაგრამ უკრაინელები და ბელორუსები მაინც ვერ ჩაითრია ამ საგაჟაჟ საქმეში, საცა დიდ-რუსელებს უჭირავთ ყველა მნიშვნელოვანი ადგილი და **ტონს იძლევიან**. არც მოხერხდება სხვანაირად, რადგან ნამდვილი მოთავე **არა**-რუსები (ეროვნული) ახლოც არ ეკარებიან.

გამოსავალი ერთია,—„ამერიკ. კომიტეტმა“ ნეიტრალობა უნდა გამოიჩინოს და ეროვნულ (ე. ი. არა-რუს) ორგანიზაციებს არ ეროკებოდეს რუსულ „კოორდ. ცენტრში“. ეროვნულ წარმომადგენელთა, სხვა და სხვა მიმართულებისა, მარცხენა თუ მარჯვენა, უნდა ჰქონდეთ საშუალება, იმოქმედონ, როგორც პარლამენტში.

მაგრამ იმორის შუბს და კომპანიას ეშინიან ამით სცენაზ ეროვნული უმცირესობა ბათია დამოუკიდებლობა, რადგან უკრაინელები, ბელორუსები და სხვანი სტალინის ერთგვარ uno-ს უფრო დაემყარებიან, ვიდრე თავისუფლების (?) ქადაგებას (გამორეკვეულს. ?ი. გ.).

70 მილიონი **დოლარი** დიდი ფული, თუ გადაყრილად არ გინდათ იყოს, ვაშინგტონის მმართველობამ წითელ რუსეთში ასეთ ნათელ (ეროვნულ) ნიადაგზე უნდა გადაოტანოს თვისი პროპაგანდა“-ო.

ეტყობა, გერმანელებს ეს უკვე ესმით, ვიდრე ბევრ ქართველს.

გერმანიის ამერიკული ზონის პატარა ქალაქ ნოი-ულმში, ამა წლის დასაწყისიდან, გამოდის საუცხოო გაზეთი „ოსვობოჟდენიე“ (განთავისუფლება) რუსული ენით და რუსების თანამშრომლობით სხვა ერებთან ერთად.

გამომცემლობით, ეროვნულ საკითხისადმი პატრიოსანი მიდგომით, თანამშრომლების ლირსებით, შეიძლება ითქვას, მებრძოლი პოლიტიკის შედეგის წარმოადგენდეს და სავსებით ამართლებს სახელწოდებას: „ორგან მეჟნაციონალნაგო, რევოლიუციონნო-დემოკრატიჩესკაგო დვიჟენია ნაროდოვ ს.ს.ს.რ.“. (ს.ს.ს.რ“-ის ერთა შორის რევოლიუციონურ - დემოკრატიული მოძრაობის ორგანო“).

ეს არის, მოგვეგზავნა მეცხრე ნომერი, და რაკი შიგ მეცხრე დაუფასებელი წერილია ბატონ გ. ა. ალექსინსკის, — რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატისა ჰეტროგრადისა და კრონშტატისაგან, — აშკარაა, მუდმივი თანამშრომელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანიც არის.

ჩვენ, დიდის სურადღებით ვკითხულობდით ამ **დიდი** რუსის (ველიკორუსის) დარბაისელ, კეთილშობილ და ცოდნით სავსე ყველა წერილს (ისე არა მგვანს ქართულ ჟურნალ-გაზეთებისას) საერთო სათაურით: „წერილები თავისიანებს და სხვებს“ და ამასვე ურჩევდით ყველა ქართველ „პოლიტიკურ მოღვაწესა“ და პატრიოტს.

დღეს და ჩვენთვის, განსაკუთრებით საინტერესოა მისი ეს მეცხრე წერილი, რომლის ერთ საგანს იგი შეეხო მეექვსეშიაც. ეს საგანია მიუნხენის „საკოორდინაციო ცენტრი“, რომლის რუსული სუნი, აგერ ორი წელიწადია, სწამლავს პოლიტიკური ემიგრაციის ატმოსფერას.

ყველამ იცის, თუ ვინ არიან ის „ნომინოდიაზა“ რომელნიც ხელს უწყობდნენ ამ „ინდინაია, ნედელიმაიას“ „ცენტრს“, მაგრამ არაავინ იცოდა(?) თუ ვინაა, ამ რუსული ცენტრის თავმჯდომარე და... გადაეწყვეტიც. ბ-ნ ალექსინსკის ვაჟკაცობა სწორედ იმაშია, რომ გაზეთ „ოსვობოჟდენიე“-ს ჯერ კიდევ მეექვსე ნომერში ხაზგასმით აღნიშნა ამ თავმჯდომარე, ბ-ნ მელგუნოვის **გამცემლობა**, რითაც გამოიწვია უმედეგო ალიაქოთი „საკოორდინაციო ცენტრში“, საცა თავი მოიყარეს... და ეხლა დაწერილებით გადმოგვცემს: *).

„... რუსების და არა-რუსების საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარე ბ. მელგუნოვი, ჩემი, — უნივერსიტეტის ამხანაგია... არ გამართლდა მისი გადადგომის ამბავი თავმჯდომარეობიდან და იგი განაგრძობს „საკოორდ. ცენტრის“ „ხელმძღვანელობას“ და ამერიკული დოლარების „განაწილებას“..., თავის გამართლებას კი **ჩეკაში ამხანაგების გამცემლობისა** (რომელთაგან ზოგი **დახვრიტეს**)... სხვებს აბარებს...

„მელგუნოვი რომ მორიდებით და ყურადღებით ყოფილიყო პოლიტიკური „მოღვაწეობიდან“, მე არ შეეაწუხებდი მის გვამს. დიახ, გვამს! რადგან ჩემთვის და ყველა რიგიანი, არა მარტო რევოლიუციონერისა, არამედ უბრალო ნორმალური ადამიანისათვის, **გამცემლობა** უფლებას ართმევს პოლიტიკური მუშაობაზე და მეტადრე — ხელმძღვანელობაზე.

„ჩემს წინაა—სწერს ალექსინსკი—„ისტორიულ-ლიტერატურული კრებულ“, რომელიც გამოდიოდა პრაგაში მელგუნოვის რედაქტორობით. მესამე კრებულში 1923 წ. გვ. 137-163,—მელგუნოვის წერილია: „ისტორიის მსჯავრი ინტელიგენციაზედ“ („ტაქტიკური ცენტრის“ საქმის გამო)**)..

„როცა ეხლა ვსინჯავ ასლებს ყველა ჩემი ჩვენებისა, იქნება (სიკ!) არცა ვგრძნობდე—სწერს იგი—დიდ კმაყოფილებას. **იქნება (სიკ!)მოქალაქობრივი ღირსება მოითხოვდა სხვანაირ მოქცევას**.. დაკითხვის დროს ვგრძნობდი თითქოს სანგრის პირზე დავდიოდი, მეტადრე, როცა ავიანოვი (ჩეკის გამომძიებელი) მეუბნებოდა: „ბოლშევიკებს... დიდი შეცდომა იყო, რომ **მაინც დაუდასტურე მონაწილეობა იმ პირებისა, ვისიც ფაქტიური მონაწილეობა უკვე იყო დადგენილი.** მე მეორე შეცდომაც მომიმეორდა: მე გამმით ვაძლევდი ჩვენებას, გამომძიებელის კითხვების ალუნი შვნელად“.

ე. ი., არა მარტო გასცა სახელები, არამედ აშუქებდა ორგანიზაციის ნოქმედებასაც.

„გასცა მენშევიკი ვ. ცედერბაუმი, ცნობილი მენშევიკი ლ. მარტოვის ძმაო და... ამასაც არ დაჯერდა:

„ჩემი ბრალითი მინისტეს სამართალში, — იძულებულია აღიარონ მელგუნოვმა — **სრულიად უდანაშაულო ადამიანიც, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონია ჩვენს საკონსპირაციო მუშაობასთან“...** იქნება „რაინდი“ ვერ გამოვდექი, მაგრამ ასეთ რაინდობისათვის პათოსი ნაკლდაო“: და ასეთ საცოდავ თავის მართლებას, უმატებს უარესს: „საზოგადოებრივ მოტანებს რომ თავი დავანებოთ, ყველასა აქვს უფლება თავი გადარჩინოს თავისებურად... (ნა სვოი მანერ)“. რა ფასით? სხვისი დაღუპვით? — კითხულობს ალექსინსკი.

„და უმეტეს, რომ უფლება მაქვს განვსაჯო მელგუნოვი, რადგან მეც ვიყავი ერთ-ერთი მათგანი, ვისაც სიკვდილი მიესაჯა „ტაქტიკური ცენტრის“ პროცესში... მელგუნოვისთანა გამცემლების წყალობით. სიკვდილი მომისაჯეს ჩემს დაუსწრებლად, გამცემელთა საუბედურიოდ, რადგან ერთად-ერთი მოწმე ვარ საზღვარგარეთ მათი გამცემლობისა...

„მელგუნოვი უნდა გადადგეს დაუყოვნებლივ, რომ ბოლო მოეღოს სკანდალს. თუ ამას არ იზავს, მაშინ „საკოორდ. ცენტრის“ წევრებმა და სწორედ რუსებმა უნდა მოითხოვონ ეს, რადგან, რასაკვირველია, მათ არ იცოდნენ (?) პოლიტიკური წარსული „ხელმძღვანელისა“-ო.

„მთელი ეს სამწუხარო ისტორია შესაძლებელი გახდა მარტო იმიტომ, რომ „საკოორდინაციო ცენტრი“ შეიქმნა არა ავტორიტეტულ პოლიტიკურ ორგანიზაციებისაგან, მეტადრე ***) რუსულ ნაწილში, ფართე რუსული წრეების უცნობოდ, სადღაც ბნელ კუნჭულებში, საცა რამდენიმე „კარგმა ნაცნობმა“ მიითვისა წარმომადგენლობა „რუსული საზოგადოებრივობისა“ და გადაჭრა, თუ რომელი „არა-რუსული“ ორგანიზაციაა დასაშვები ამ „ცენტრში“-ო...

„ვინც იტყვის: „ძველ ამბავს“ რად იგონებთო, უპასუხებს: არის ცუდი საქმეები, რომელთათვის ვადა (დავნოსტ) არ არსებობს და „ღმერთი ყველაფერს აპატიებს, მაგრამ იუდას ცოდოს არასოდესო“.... რუსის პოეტის ამ სიტყვებს ვაგონებ „საკოორდინაციო ცენტრის ყველა წევრს“-ია. გ. ა. ალექსინსკი“

თუ მოვიგონებთ იმასაც, რაც „საქ. დ.“ დაწერა, რომ ბ-ნი კერენსკი იყო დაქირავებული აგენტი გერმანულ „კონტრ-რევოლუციის“ და ხელის შემწყობი ლენინის ჩამოსვლისა რუსეთში „დაპლომბილი“ მატარებლით, აღვილი მისახდომია, თუ რა ბალხი იყრის თავს ნაქებ „საკოორდინაციო ცენტრში“.

---

*) ზოგჯერ ამ შემოკლებით; რაც მთავარია.

**) ეს იყო საიდუმლო ორგანიზაცია ბოლშევიკების წინააღმდეგ.

***) ჩვენ ამას ვამბობდით დიდიხანია, ყველაზედ, გარდა ქართველებისა.

რედ.

საგულისხმო პარალელები

გაზეთ „ოსვობოჟდენიეს“ იმავე მეცხრე ნომერში (იხ. აქვე „გაზეთებიდან“) მოთავსებულია „მემორიალი“, რომელსაც უკრაინელების, სომხების, ბელორუსებმა, — და მათი ძალდატანებით, — ქართველ გვარჯვალაძესა და გეგეჭკორსაც მოუწერიათ ხელი.

ჩვენს „ქართულ ეროვნულ - პოლიტიკურ ცენტრს“, არა მარტო საწინააღმდეგო არა აქვს რა მისი შინაარსისა და **დამასკვნელ დებულებათა** მიმართ, არამედ მეტადრე მიესალმება და გაკვირვებას გამოსთქვამს, რომ ამის მისალწევად, აგერ ორი წელიწადია ვიბრძოდით და მის, სწორედ ქართველ ხელმოწერთაგან, გაშმაგებულ და თავშეუდგ

ცნობის ფურცელი

ქართული მინანქარი.

ფრანგულ ჟურნალ „სსიანს ე ავენირ“-ში № 67, დაბეჭდილი იყო საინტერესო ცნობა, რომ ქართველ ქიმიკოსს ნ. ტარუაშვილს ალმოუჩენია, უხსოვარ **დროიდან** საქართველოში არსებული და მეთოთხმეტე საუკუნიდან დაკარგული,—საიდუმლოება **ქართული მინანქრის ხელოვნებისა:**

„ოქროს ტიხრიან მინანქარის ხელოვნებას, აყვანილს უმაღლეს ხარისხამდე ქართველ ხელოვანთაგან საშუალო საუკუნოებში,—ულამაზესი ადგილი უჭირავს ამ ქვეყნის ძველს ხელოვნებაში. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია **ღღემდე,** „მეესანიშნავი ნიმუშები, მაგ., მარტვილის, მინანქრის წმ. ხატი მერვე საუკუნისა და ჯვარი მეათესი.

„უძნელეს ამოცანას წარმოადგენდა არა მარტო აღმოჩენა ქიმიურ ნაერთებისა (ესმალტ), არამედ ოქროს ნაზ ტიხრთა შეერთების ხელოვნებისა, სურათის ნაწილებშოლრისა ჩარჩოებისაც.

„დღეს აღარ არსებობს საიდუმლოება ქართულ მინანქრების გაკეთებისა: საქართველოს მუზეუმის საგანგებო ლაბორატორიის ქიმიკოს ნ. ტარუაშვილს, მრავალი კვლევისა და ცდების შედეგად, მიუგნია, თუ როგორ მზადდებოდა ფერადი ნაერთები მინანქრებისა. აღსანიშნავია, რომ ზოგი ფერადების მისაღწევად, საჭიროა ყოფილა მხოლოდ ადგილობრივ არსებული მასალები.

„ნ. ტარუაშვილი ამოუცვნია ოქროს წმინდა ტიხრების დაკავშირების საშუალებაც. ქართ. მ. ლაბორატორიას შეუსრულებია საამი ასლი მეათე საუკუნის ქართულ მინანქრებისა, განსაცვიფრებელი სილამაზის და შესრულების ზედმიწევნილობით“.

P. S. ამას შეიძლება დაემატოს ცნობა, რომ ბიზანტიაში (და შემდეგ ევროპაშიაც) მინანქარის ხელოვნება გაქრა ცელდა საქართველოდან. **(რედ.).**

უვიცობა თუ უარესი?

პროფესორმა ფრედერიკ ვან დენ მეერმა, აკადემიკოს რენე გრუსეს წინასიტყვაობით, გამოსცა საუცხოოდ ზდიდარი „Atlas de la Civilisation Occidentale“, სადაც სიტყვა არაა დაძრული საქართველოზედ. საბაგერეროდ, — მცხეთა, ქუთაისი და **ქართული** ხელოვნების საამაყო შედევრები, როგორც მცხეთის, ქუთაისის, ატენის, ბოლნისის, ივირონის, მარტვილის, წრომის, ნიკორწმინდას და სხვა ტაძრები, გამოცხადებულია (ინდექსში), როგორც — **სომხური.** ასეთი უმგვანი „მეცდომა“ პროფესორებსა და აკადემიკოსებს კი არა, უბირ ჰოლანდიელსაც არ ეპატიება.

საამგლოვიარო

†

ულანასკნელ ხანებში მრავალი ქართველი მიეცარა უცხო მიწას. გარდაიცვალნენ:

ნოე ყორდანია — დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის ყოფ. თავმჯდომარე (ს.-დ.).

გ. სიდამონ-ერისთავი — სენატორი და საქართველოს ელჩი ვარშავაში (ს.-რ.).

დ. კლიმიაშვილი — დამსახურებული ოფიცერი (ც. წ.).

ა. კობიაშვილი—დამსახურებული ოფიცერი (ც. წ.).

ა. კობახიძე — ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე (ს.-რ.).

ნ. იმნაიშვილი — (ს.-დ.).

ვ. ჩაჩავა — (ს.-დ.).

ჭ-ნიტვაიტი (ჩოლოყაშვილის ასული).

დ. (დოდიკ) ჭავჭავაძე — ოფიცერი.

უადგილობისა და ვაზეთის დაგვიანების გამო, რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს, რომ იძულებულია გულწრფელი სამძიმარი ნათესავ-მეგობრებისადმი ასე მოკლედ გამოსახოს.

ალ. მანველიშვილის წიგნები

გასულ წელს დაიბეჭდა ბ. ალ. მენველიშვილის ორი წიგნი: ერთი ქართული „რეტსეთი და საქართველო“, მეორე ფრანგული **„Histoire de Géorgie“.**

ორივე კარგად დაბეჭდილი და ადვილად წასაკითხი.

ორივე წიგნი წარმოადგენს დიდ შრომას და თუ მივიღებთ ხედველობაში აუტანელს პირობებს, რომელიც უცხოეთში გადაგდებული კაცი ატარებს ცხოვრებას ყოველ-დღიურ საზრდოს ძებნაში, უნდა ითქვას, ასეთი ნაშრომი უფრო დასაფასებელია.

აქ იჩინა თავი არა მხოლოდ თაოსნობამ და ნიჭმა, არამედ ავტორის ხასიათის სიმტკიცემ და სამშობლოს სიყვარულმა.

ბ. ალ. მანველიშვილის წიგნების ღირმა დაფასებას ვერ შევეხები, რადგან ამ დარგში მაინცა და მაინც სპეციალისტი არ გახლავართ. მშვენივრად აფასებს წინასიტყვაობაში ბ-ნი კარსტი: „Histoire de Géorgie“-ს. „მისი წიგნი წარმოადგენს შრომას მართლაც ღირსეულს. მისი გამოცემა მეტად დროულია, უპასუხებს მოთხოვნილებას და ამას მიესალმება არა მარტო ყველა მეცნიერი და მკითხველი, არამედ საერთოდ ყველა წრე მეცნიერი, აკადემიური ან არქეოლოგიური და ისტორიული, ვისაც კი სურვილი აქვს მიჰმართოს და ჩახედოს ისტორიის ხანას, აქამდის ნაკლებ ცნობილს და ბუნდოვანს პონტო-ანატოლიურ აზიისა“.

ყველა ქართველს უურჩევს ბ-ნ მანველიშვილის წიგნების წაკითხვას.

გ. კვინიტაძე.

„ქართული საკითხი თავისუფალ ქვეყნიერების წინაშე“

„აქტები — დოკუმენტები და მოწმობანი“
(კონსტანტინე კანდელაკისა)

ყოველთვის მოხარულნი ვართ, როდესაც დადებითი რამ კეთდება ქართული საკითხის ირგვლივ. ვესალმებით ამ პატარა წიგნის გამოსვლას, ვინაიდან ის დროულია, და პირველი, 1926 წლის აქეთ, რომელიც, ინგლისურ ენაზე, იძლევა დოკუმენტაციას ქართული საკითხის ვითარებაზედ.

წიგნის ცოტა არ იყოს ნაძალადევ წყობის გამო, ციტატები (რომელნიც წარმოადგენენ 150 გვერდს — 200 გვერდის ჯამიდან) იძლევიან ზედმეტ განმეორებას ფაქტებისა, და მათს მოზრდილ ნაწილზე უბრალო ბიბლიოგრაფიული მითითებაც კმარიოდა. ამნაირად მოგებული ადგილი, უნდა დასთმობოდა უსაჭიროესს მასალას, რომელიც დღემდის მიუწდომელია: ე. ი. ჩვენი დემოუკიდებლობის ეპოქის უმთავრეს სახელმწიფო აქტებს და საბუთებს. ყველა, ვინც დაინტერესებულია საქართველოს უფლებრივ და რეალურ სახეობის საკითხის შესწავლით გაკვირვებასაა: თუ [illegible] დაუდევრობის ბრალია, რომ ემიგრანტობის აღდენი წლის მანძილზე, ყოფილ მთავრობას არც კი უცდია ამ ძვირფას არნათესავ-მეგობრისადმი ასე მოკლედ გა-

მე-5-თე, მე-6-ე თავების სისუსტის გამო, წიგნი სტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის შეჩერებულია 1934 წელზე. მეორე მხრივ, აბსოლიუტურად გამორიცხულია, რაიმე ხსენებაც კი, იმ ეროვნულ-პოლიტიკურ მუშაობისა, რაც გაწეული აქვს თვით პოლიტიკურ ემიგრაციას (გარეშე ყოფილ მთავრობისა) და წიგნის ბოლოში მოთავსებულ თანამედროვეთა შორის, თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთს პოლიტიკურ სახელს გარდა სოციალ-დემოკრატებისა (მაგალითად, გენა ზ. ავალიშვილის ნაწერებმა მეტი გამოძახილი არ გამოიწვია უცხოელ პრესაში, ვიდრე უპასუხოდ დატოვებული, სუსტად შედგენილ რომელიმე მემორანდუმებმა? ან და 1924 წლის აჯანყება არ იყო ღირსი მოხსენიებისა?).

ურიგდებით რა, ნება-უნებლიეთ, ავტორის ასეთ არა-ობიექტიურ მიდგომას, დაესძენთ მ ა ნ ც, რომ ეს — ინგლისური ენით ნათარგმნი — წიგნი, ჩვენ, ბოლო-ანგარიშში, მაინც ფრიად დადებითად მიგვაჩნია. ეს მით უფრო ძვირფასი საბრძოლველი იარაღია, რომ, ამ ნაწერიდან **სავსებით** განდეგნილია „ვისბადენის“ სულისკვეთება! მრავალ ადგილას ხაზგასმით არის გამოყვანილი ქართველთ მამოძრავებელი **ეროვნული** მომენტი, და ნათლად ალნიშნული, რომ ქართველები იბრძვიან ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის — რუსულ იმპერიალიზმის წინაალმდეგ.

ეს, ბატონო კონსტანტინე, რასთან ერთად ორი წლითა დააგვიანეთ თქვენი წიგნის გამოქვეყნება? იქნებ ეს აგვაცდენდა, ორი წლის განძილზე, სხვა რიგ სიტყვა-ნაწერების მოზღვავებას...

ლ. ზ-ი.

P. S. საქართველოს ეროვნულ უფლებათა დასაცავად, **სოციალისტური** მთავრობის დავალებით, **საგარეო** მუშაობის **ყველა** ეტაფზე, ფაქტიურად უმთავრესს როლს თამაშობდნენ ეროვნულ საქართველოს დიდი მოღვაწენი: ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, პროფესორი ზ. ავალიშვილი, პროფ. ფ. ყოგიჩაიშვილი, პროფ. მიხ. წერეთელი, ს. კედია, გ. გვაზავა, გ. მაჩაბელი, ვახტ. ლამბაშიძე, ნ. ჯაფელი და სხ.

ბ-ნი კანდელაკი მათ არასად იხსენიებს თავის ინგლისურ წიგნში, მათ ნაღოლვაწარს იგი რამდენიმე თავის ამხანაგს აკუთვნებს. ასე ესმით სოც.-დემ. „ეროვნული პოლიტიკა“. **რედ.**

ბ. ალ. ასათიანის მოგონება

20 ივნისს, პარიზის ქართველთა კრებაზედ, ბ. ალ. გაბაშვილის თავმჯდომარეობით, მოსმენილ იქმნა ბ-ნ ალ. ასათიანის მოგონება — „ქართველი ერი მსოფლიო ქარტეხილში“.

მომხსენებელმა განმარტა საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის პირობებში მომხდარი დიდი ცვლილებები: ერთის მხრივ მსოფლიო დემოკრატიის ამხედრება ბოლშევიზმის წინააღმდეგ, მისი აქტიურ თავდაცვის პოზიციებზედ გადასვლა, ინტენსიური შეიარაღება, გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადება. ქართული ბრძოლა ამ მსოფლიო ქარტეხილში მოექცა, მისი ბედი მსოფლიო დემოკრატიის ბედს გადაეება. ეს მოითხოვს მისი ძალების სიმტკიცეს, თან სიფრთხილეს და გამჭრიახობას, და რასაკვირველია, მეტრძოლ ძალთა ერთსულოვნობას და თანხმობას, რაც საუბედურო ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. მეორეს მხრივ საკმაოდ ნათლად აღინიშნა მსოფლიო ბოლშევიზმის რღვევის დაწყება, მისი მთავარი ბოძის, მისი აღმშენებლის და სულის ჩამდგმელის, სტალინის სიკვდილით გამოწვეული. შეიძლება ბოლშევიკური მანქანამ ვერ აიტანოს ეს ძლიერი შოკი და მოკლე ხანში, მოულოდნელად დაიმსხვრეს. ეს აყენებს ახალს დიდს პრობლემას ქართველი ერისა და მისი ემიგრაციის წინაშე. როდესაც სახლის დანგრევა მოელი, საშურია მის ადგილზე ახალის ასაგებად გეგმის შედგენა, მასალისა და სალსრის თავდარიგი. ჩვენი ძველი პროგრამები, ევროპიდან გადმოღებული, რასაკვირველია, არ მოიცდგება საქართველოს ახალ პირობებს არცა დემაგოგიური დემოკრატია, და არც მარქსიზმი, რომელმაც არაფერი დადებითი არ მისცა კაცობრიობას, ხალხთა ცხოვრების აღორძინების საქმეს ემსახურა და ბოლოს ბოლშევიზმით დაგვირგვინდა. ამის უარყოფასთან ერთად უნდა დატოვებულ იქმნეს უფლება ყველასათვის, თავის ცხოვრება მოაწყოს კერძო საკუთრების, თუ სოციალისტური საფუძვლებზედ. თუ ვინმე აღმოჩნდება იდეური სოციალისტი და არა მხოლოდ ამ იდეის გამომყენებელი, ხალხთა ცხოვრების აღორძინებისათვის, მათ უნდა მიეცეთ უფლება მოაწყოს თავისი ცხოვრება სოციალისტური საფუძველზედ; ამათთვის უნდა დატოვებულ იქმნეს საჭიროა რაოდენობა კოლხოზებისა და სამრეწველო წარმოებების. თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველას აქვს ასეთი უფლებები და მრავალი სოციალისტური საზოგადოები დაუარსებიათ წარსულში სოციალისტ „უტოპისტებს“ და ქრისტიან ებრაულ რელიგიურ საზოგადოებებს.

მოხსენების გარშემო გამართულ მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს ბ.ბ. ალ ჯაფარიძემ, ი. გობეჩიამ, აკ. ჩხენკელმა, გრ. ურატაძემ და მ. ჩუბინიძემ. მათ კმაყოფილებით აღნიშნეს მომხსენებელის ზომიერი აკადემიური, „პროფესორული“ კილო. გრ. ურატაძე დაეთანხმა მომხსენებელს, რომ ძველი პროგრამები მისვლა საქართველოში არ იქნება მიზანშეწონილი და შესაძლებელი. მარქსიზმის დაფასებაში, რასაკვირველია, ყველა არ დაეთანხმა მომხსენებელს. „მარქსიზმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის და თვით ამერიკისათვისო“, განაცხადეს მათ. მომხსენებელსაც, რასაკვირველია არ უარუყვია მარქსიზმის დიდი მსოფლიო მნიშვნელობა, ხოლო მას ეს მიაჩნია მავნედ და საზარალოდ მთელი მსოფლიოსათვის.

დამხვრე.

Directeur responsable: R. Gabachvili.
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.

ბელ თავდასხმას განვიცდიდით: „თქვენ სთიმავთ ქართულ ემიგრაციას“ (?); „ებრძვით ამერიკელებს“ (?); „გძულთ რუსი“ (?) და სხ. და სხ. აბრუნდები.

მიგესალმებით, რადგან სწორედ **ერთი თვით ადრე,** მიუნხენში ჩვენმა „ქართულმა კომიტეტმა“ — ბატონ გ. ფალალაშვილის მეთაურობით, „გაერთიანებულ კავკასიის კომიტეტმა“ რ. გაბაშვილისა და ბატონ ა. მაგომას მეთაურობით და **იმავე** უკრაინელების, ბატონთ ანდრიევსკის, დოვგალ და ლევიცკის მეთაურობით, მივართვით **იმავე** „ამერიკულ კომიტეტს“ და **იმავე** დასკვნებით, მემორანდუმები; და **საერთო თათბირზედ** სრული ჩვენი ერთსულოვნობა გამოვაცხადა.

ასევე იყო საქართველოში 1918 წლის 26 მაისამდე. ჩვენ, ქართველ ეროვნულ ჯგუფებს, პარტიებს, წოდებათა თუ საზოგადოებას თავს ვვესხმოდნენ **იგივენი:** „თქვენ ბატონ-ყმობის აღდგენა გინდათ; ფეოდალობის დაბრუნება: სომხი-ჭამები, ოსი-ჭამები ხართ“ და სხ. და სხ. და, ხელი კი მოაწერეს **იძულებით,** 26 მაისის აქტით იმ დამოუკიდებლობას, რომლის წინაალმდეგ ისინი იბრძოდნენ ათწლობით.

მაშინაც და ეხლაც, გარეშე და შინაგან ძალების **წნეხვით** ხდება ეს. მაშინ ოსმალეთმა და გერმანიამ ყარედან და სწორედ ჩვენმა მუდმივმა ბრძოლამ შიგნიდან, აალებინა ხელი „რუსეთის სოც.-დემ. პარტიას“ — მთელიანი რუსეთის დაცვაზედ. და ეხლა, ყარედან სომხების, უკრაინელების და შიგნიდან სწორედ ჩვენი „ცენტრის“ მიერ მოხდენილმა მობილიზაციამ*) მთელი ქართველი ემიგრაციისა — პარიზსა, გერმანიასა, ინგლისსა, თუ ამერიკაში, — **აიძულა,** „პროფესორ“ ცინცაძის, იმავე სოციალ-დემოკრატიულ „ქართ. ეროვნ. საბჭოს“ სახელით ხელმოწერილი, — მთლიანი რუსეთის დაცვაზედ ხელი აეღოთ.

„ყვავს კაკალი გაიგდებინე“-ო, ამბობს ქართული ანდაზა და ისიც კარგია, ორი წლის დავი-დარაბის შემდეგ მათი „საბჭო“ დაუბრუნდა ჩვენი „ცენტრის“ პოზიციას.

მაგრამ საქართველოში ჩვენი ბრძოლა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან“, — **საგარეო საკითხში,** — დასრულდა ჩვენი მორალური პოლიტიკური იდეალის გამარჯვებით — 26 მაისის აქტით, და გრძელდებოდა მხოლოდ იმაზედ, რომ ამ ეროვნულ სახელმწიფოებრივ აქტს ეჭვი ოდნენ, როგორც ქალალდის ნაგლეჯს და თვით **ერი-სახელმწიფო** კი არ გაამაგრეს და ვერ დაიცვეს.

ეხლაც ესეა: „მემორიალი“, — არის უბრალო დეზიდერატა ჯერ-ჯერობით, მისი მილება არც რუსეთისაგან და, რაც სათასწილად საგულისხმოა, არც ამერიკელებისაგან, ჯერ ფაქტი არ არის. და ქართველ პატრიოტებს ყველგან, საცა უნდა იყვნენ, დიდი სიფხიზლე გვმართებს, — რუსოფილურ ელემენტებს — ნამდვილად მოეჭრას გზა „ედინაია ნედელიმაისაკენ“.

ჯერ რუსული „საკოორდინაციო ცენტრი“ — გამცემ მელგუნოვისა და კერენსკისა ფაქტიურად არსებობს და ცინცაძე-არსენიძე-ურატაძეები შიგა სხედან. და როცა უცხოთა ძალდატანებით და ჩვენის სიმტკიცით, „მემორიალის“ **დებულებანი ქალალდზედ,** — სინამდვილედ იქცევა, — შესაძლებელია, გვაროჯალაძე-გეგეჭკორებთან ეროვნულ **პრინციპისა და პრიმატზე** დავა საჭირო აღარ იყოს. **რაე.**

*) კრებებით და „საბჭოს“ საწინააღმდეგო რეზოლიუციებით.